

საქართველოს
2020 წლის
სახელმწიფო
ბიუჯეტი



შინაარსი

ძირითადი ფისკალური ინდიკატორები	2
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	15
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	19
სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა.....	213
დანართები.....	16

შემაჯამებელი მიმოხილვა

- 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (GFSM 2001) მოსალოდნელი მაჩვენებელი 2020 წლისთვის მცირედით გაუარესების ტენდენციას ავლენს და მშპ-თან მიმართებაში -2.6%-ს უტოლდება. ფისკალური ბალანსის მოცულობა მცირდება -3.4%-ის დონემდე, ხოლო ე.წ მოდიფიცირებული დეფიციტი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის მეთოდოლოგიით გაინგარიშება, -2.9%-ს უტოლდება. რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის მიმართულებასა და ტიპს (ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში), საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ პროგნოზებზე დაყრდნობით საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს მოსალოდნელია უარყოფითი ფისკალური პოზიცია, რაც მიუთითებს ფისკალურ კონსოლიდაციაზე. ამასთან, უარყოფით ფისკალურ პოზიციას თან ერთვის გამოშვების დადებითი გაპი, რაც შესაძლებელია ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის მანიშნებელი იყოს. ხოლო, უშუალოდ, 2020 წლისათვის მოსალოდნელია ფისკალური ექსპანსია და ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა.
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2020 წლისთვის განსაზღვრულია 14,040 მლნ ლარის დონეზე, რაც 2019 წლის საგეგმო მაჩვენებლის დონეს მნიშვნელოვნად, 1,083 მლნ ლარით (8.4%-ით) აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ ზრდის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2019 წლის დამტკიცებული გეგმით შემოსულობების ზრდა წინა წელთან შედარებით განსაზღვრულია 2.1%-ის დონეზე). შემოსულობების მაჩვენებლის ზრდის წარმოდგენილი ტემპი ძირითადად უკავშირდება შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელთა მნიშვნელოვან მატებას.
- შემოსავლების საპროგნოზო სიდიდე 495 მლნ ლარით (4.7%-ით) იზრდება და 11,035 მლნ ლარს შეადგენს. თავის მხრივ, შემოსავლების მაჩვენებელზე გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, გადასახდების მნიშვნელოვანი 7%-იანი მატება და მეორე მხრივ - გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლის 49%-იანი კლება.
- ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 2,755 მლნ ლარის დონეზე, რაც 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს 539 მლნ ლარით (24%) აღემატება. ზრდა მთლინად მოდის საგარეო წყაროდან მისაღებ კრედიტებზე.
- 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტის თანდართული 2020-2023 წწ. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 11,275 მლნ ლარს უტოლდება და 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 843 მლნ ლარით აღემატება, მ.შ. სოციალური უზრუნველყოფის


მიმართულებით გასაწევი ხარჯები იმატებს 438 მლნ ლარით, ხოლო სახელმწიფო მოხმარების (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) ზრდის მაჩვენებელი 189 მლნ. ლარს შეადგენს.

- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 14,212 მლნ ლარის დონეზე და 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით ზრდის მაჩვენებელი 6.8%-ს შეადგენს. გადასახდელებს ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით არსებითი ზრდა გათვალისწინებულია ხარჯების (ე.წ. მიმდინარე ხარჯების) მუხლით გადასახდელებისათვის. კერძოდ, ზრდის მაჩვენებელი 671 მლნ ლარს (6.7%-ს) შეადგენს, რაც ძირითადად უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის (431 მლნ ლარით) ხარჯების არსებით ზრდას.
- წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა 190 მლნ ლარით მიმდინარე წლის ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით. აღნიშნული ცვლილება ძირითადად უკავშირდება, ერთი მხრივ, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების 90 მლნ ლარით, საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის დაფინანსების 119 მლნ ლარით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების 161 მლნ ლარით ზრდას (მ.შ. თბილისის ავტობუსების ახალი პროექტის (ფაზა II, EBRD) დაფინანსებისათვის გამოყოფილია 120 მლნ ლარი), მეორე მხრივ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 110 მლნ ლარით და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების 49.6 მლნ ლარით კლებასთან.
- რაც შეეხება 2019 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით პრიორიტეტების ცვლილებას, არსებითად იზრდება ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები (371 მლნ ლარი), ძირითადად მოსახლეობის სოციალური დაცვის საბიუჯეტო პროგრამის ხარჯზე (პროგრამული კოდი 27 02). ასევე, მნიშვნელოვნად იზრდება რეგიონალური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ოდენობა (179 მლნ ლარი). აღნიშნული ცვლილება ძირითადად უკავშირდება ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა (პროგრამული კოდი 25 07) და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის (პროგრამული კოდი 25 04) საბიუჯეტო პროგრამების ასიგნებათა ზრდას. არსებითად იზრდება, ასევე, ინსტიტუციონალური განვითარებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები (64 მლნ ლარი), ძირითადად არჩევნების ჩატარების ღონისძიებებისა (პროგრამული კოდი 06 04) და სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელების (პროგრამული კოდი 26 01) საბიუჯეტო პროგრამების ხარჯზე.

ძირითადი ფისკალური ინდიკატორები

კონკრეტული პერიოდისათვის ფისკალური გარემოს ანალიზისას მნიშვნელოვანია შეფასდეს ფისკალური პოლიტიკის მიმართულება - ექსპანსიური თუ შემზღუდველი. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის გავლენით დეფიციტის ზრდას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია ხელი შეუწყოს ეკონომიკის სტიმულირებას ეკონომიკური აქტივობის შენელების დროს. საპირისპირო მიმართულების ფისკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. ამასთან, არსებითია ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, რაც შესაძლებელია შეფასდეს გამოშვების (მშპ-ს) პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების გადახრის მიმართულებითა და ზომით. მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას და პირიქით, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ბუმის პერიოდში ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ამ შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც მისაღებად მიიჩნევა არა ანტიციკლური, არამედ პროციკლური ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად, მაღალი საგარეო დისბალანსის პირობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მიმართულების ანალიზს ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ანალიტიკური მიზნისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სალდო, რომელთა შედარება მნიშვნელოვანია საერთო სურათის მისაღებად. ბიუჯეტის მთლიანი სალდო გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) სტანდარტის მიხედვით. გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკის ანალიზისთვის გამოიყენებულია მთლიანი ფისკალური ბალანსი, რომელიც ამავე სისტემის 1986 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 1986) შესაბამისად ითვლება.




დიაგრამა 1: მშპ-ის გაპი, ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და მთლიანი ფისკალური ბალანსი (2000 - 2023 წწ.). წყარო: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (GFSM 2001) მოსალოდნელი მაჩვენებელი 2020 წლისთვის მცირედით გაუარესების ტენდენციას ავლენს და მშპ-თან მიმართებაში -2.6%-ს

უტოლდება. რაც შეეხება ფისკალური ბალანსის მოცულობას, 2020 წლისათვის ფისკალური ბალანსის მოცულობა მცირდება -3.4% ის დონემდე. რაც შეეხება ე.წ მოდიფიცირებულ დეფიციტს, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის მეთოდოლოგიით გაინგარიშება, აღნიშული მაჩვენებელი -2.9%-ს უტოლდება.

რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის მიმართულებასა და ტიპს (ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში), საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ პროგნოზებზე დაყრდნობით საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს მოსალოდნელია უარყოფითი ფისკალური პოზიცია, რაც მიუთითებს ფისკალურ კონსოლიდაციაზე¹. ამასთან, უარყოფით ფისკალურ პოზიციას თან ერთვის გამოშვების დადებითი გაპი, რაც შესაძლებელია ანტიციკლურ ფისკალური პოლიტიკის მანიშნებელი იყოს. ხოლო, უშუალოდ, 2020 წლისათვის მოსალოდნელია ფისკალური ექსპანსია და ანტიციკლური პოლიტიკა.


რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შეფასების თანახმად, მოსალოდნელია დადებითი ფისკალური პოზიცია, რაც მიუთითებს ფისკალურ ექსპანსიაზე. ამასთან, დადებით ფისკალურ პოზიციას თან ერთვის გამოშვების დადებითი გაპი, რაც შესაძლებელია პროციკლური ფისკალური პოლიტიკის მანიშნებელი იყოს (იხ. დიაგრამა #2).



დიაგრამა 2: ფისკალური პოზიცია და მშპ-ის გეპი. წყარო: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

სამინისტროსა და ოფისის შეფასებებს შორის არსებული სხვაობა შესაძლებელია საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებით განიმარტოს.

¹ დეტალური ინფორმაცია იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევით პუბლიკაციაში „ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსთვის: მიმართულება, ციკლორობა, მანევრირების რესურსი“.



დიაგრამა 3: წაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრულია ბიუჯეტის პირველადი პროექტის მაჩვენებლების დონეზე. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, მეორე წარდგენისათვის მომზადებული პროექტი არსებითად არ განსხვავდება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პირველადი პროექტისგან, რადგან ფინანსთა სამინისტრო სსფ-ის მისიის წარმომადგენლებთან ერთად, ამ ეტაპზე ახორციელებს 2019 წლის ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების ანალიზს და მიზანშეწონილად ჩაითვალა, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებელთა შინაარსობრივი განახლება განხორციელდეს ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის (მესამე) წარდგენისას, თუმცა ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი გადამუშავებული ვარიანტი ასახავს 2019 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებულ ცვლილებებს.

წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2020 წლისთვის განსაზღვრულია 14,040 მლნ ლარის დონეზე, რაც 2019 წლის გეგმის² მაჩვენებლის დონეს მნიშვნელოვნად, 1,083 მლნ ლარით (8.4%-ით) აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ ზრდის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2019 წლის ოქტომბრის დამტკიცებული გეგმით შემოსულობების ზრდა წინა წელთან შედარებით განსაზღვრულია 2.1%-ის დონეზე, თუმცა 2018 წელსაც ზრდის ტემპი 9.3%-ს შეადგენდა).

	2018 წელი ფაქტი	2019 წელი გეგმა (პირველადი)	2019 წელი გეგმა	2020 წელი პროექტი (I-II)	2020 პროექტი / 2019 გეგმა		2020 წ. პროექტი / 2019 წ. გეგმა (პირველადი)		2019 წ. 9 თვე წლიურ გეგმასთან
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	
სულ შემოსულობები	12,693.4	12,863.8	12,956.5	14,040.0	1,083.5	8.4%	1,176.3	9.1%	69.8%
შემოსავლები	10,595.6	10,487.7	10,540.4	11,035.0	494.6	4.7%	547.3	5.2%	74.6%
გადასახადები	9,696.0	9,645.0	9,645.0	10,320.0	675.0	7.0%	675.0	7.0%	74.4%
გრანტები	404.0	382.7	390.4	200.0	-190.4	-48.8%	-182.7	-47.7%	82.3%
სხვა შემოსავლები	495.7	460.0	505.0	515.0	10.0	2.0%	55.0	12.0%	73.2%

² 2019 გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლები გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის 2019 წლის 17 ოქტომბერს დამტკიცებული კანონის საფუძველზე განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებლებს.

არაფინანსური აქტივების კლება	101.0	70.0	80.0	120.0	40.0	50.0%	50.0	71.4%	86.1%
ფინანსური აქტივების კლება	119.2	120.0	120.0	130.0	10.0	8.3%	10.0	8.3%	64.1%
ვალდებულებების ზრდა	1,877.6	2,186.1	2,216.1	2,755.0	538.9	24.3%	569.0	26.0%	46.4%
საგარეო	1,455.3	1,686.1	1,316.1	1,855.0	538.9	40.9%	169.0	10.0%	45.7%
საშინაო	422.3	500.0	900.0	900.0	0.0	0.0%	400.0	80.0%	47.3%

ცხრილი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2018-2020 წლებში (მლნ ლარი).

კანონპროექტით გათვალისწინებული შემოსულობების მარჯვენელის ზრდის წარმოდგენილი ტემპი ძირითადად უკავშირდება შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების საპროგნოზო მარჯვენელთა მნიშვნელოვან მატებას (შესაბამისად - 495 მლნ ლარით და 539 მლნ ლარით).

წარმოდგენილი კანონპროექტით შემოსავლების (მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს) საპროგნოზო სიდიდე 11,035 მლნ ლარს შეადგენს და 495 მლნ ლარით (4.7%-ით) აჭარბებს 2019 წლის გეგმის მარჯვენელს თავის მხრივ, შემოსულობების მარჯვენელზე გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, გადასახდების მნიშვნელოვანი 7%-იანი მატება და მეორე მხრივ - გრანტების საპროგნოზო მარჯვენელის 49%-იანი კლება.

წარმოდგენილი კანონპროექტით შემოსავლების საპროგნოზო სიდიდის 4.7%-იან (495 მლნ ლარით) ზრდაზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, გადასახდების მნიშვნელოვანი 7%-იანი მატება და მეორე მხრივ - გრანტების საპროგნოზო მარჯვენელის 49%-იანი კლება.

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა განხილულ იქნას ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, როგორც საბაზისო, ისე მაკროეკონომიკური გარემოს საბაზისოსაგან განსხვავებული სცენარებით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თანდართულ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით, 2020 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მარჯვენელი 12,130 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2019 წლისათვის მოსალოდნელ მარჯვენელს 7.3%-ით აღემატება.

საბიუჯეტო ოფისი		2019	2020	2021	2022	2023
		გადასახადები (მლნ ლარი)	11,372	12,133	13,306	14,707
	ზრდის ტემპი (%)	8.2%	6.7%	9.7%	10.5%	10.5%
	პირდაპირი	4,932	5,219	5,815	6,509	7,299
	არაპირდაპირი	6,440	6,914	7,491	8,198	8,946
მთავრობა	გადასახადები (მლნ ლარი)	11,310	12,130	13,112	14,230	15,447
	ზრდის ტემპი (%)	7.6%	7.3%	8.1%	8.5%	8.6%
	პირდაპირი	4,924	5,252	5,671	6,176	6,726
	არაპირდაპირი	6,386	6,878	7,441	8,054	8,721

ცხრილი 2: საგადასახადო შემოსავლები (2019-2023 წწ)

როგორც ცხრილი #2-დან ჩანს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2019 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს

11,372 მლნ ლარს, ხოლო 2020 წლისათვის - 12,133 მლნ ლარს, რაც მცირედით აღემატება 2019 წლის მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელს, ხოლო 2020 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს - თითქმის ემთხვევა (თუმცა შესამჩნევად განსხვავებულია პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო სიდიდეები). მოცემულ საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის განსხვავება, თავის მხრივ, უკავშირდება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლების განსხვავებას მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან.

როგორც უკვე აღინიშნა, ცალკეული დისკრეციული ცვლილებების გავლენის (მათ შორის, ფინანსური სექტორის ახალი რეგულაციების) შეფასებისა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური გარემოს საპროგნოზო მაჩვენებლების განახლების საფუძველზე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საბოლოო საპროგნოზო მაჩვენებლები (დეკემბერი, 2019), როგორც რეალური, ისე ფისკალური სექტორებისათვის, შესაძლებელია განსხვავდებოდეს წარმოდგენილი პროგნოზებისაგან.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს, 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 10,320 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 675 მლნ ლარით (7%-ით) აჭარბებს 2019 წლის საგეგმო მაჩვენებელს.

2020 წლის პროგნოზით, მიმდინარე წელთან შედარებით, ყველა სახის გადასახადის მიხედვით (გარდა სხვა გადასახადისა) გათვალისწინებულია ზრდა, მათ შორის, მნიშვნელოვანად იზრდება დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადები (შესაბამისად, 263 მლნ ლარით და 245 მლ ლარით). უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების საპროგნოზო სიდიდეები ძირითადად განისაზღვრულია მიმდინარე წელს გადასახადების საგეგმო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობისა და 2020 წლისთვის ეკონომიკის ნომინალური ზრდის პროგნოზების შესაბამისად, აგრეთვე, სხვა გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ: მოგების გადასახადის საპროგნოზო მოცულობაში გათვალისწინებულია, ასევე, BP-ის მიერ (ახალი ნავთობსადენის აშენებიდან გამომდინარე) მოგების გადასახადის სახით გადასახდელი თანხის ზრდა, დღგ-ს მაჩვენებელში - ერთჯერადი ოპერაციების შედეგად მიღებული დაახლოებით 100 მლნ ლარის ეფექტი, ხოლო სააქციზო შემოსავლებში - საგადასახადო კოდექსში მოსალოდნელი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც შეიცვლება თუთუნის დაბეგვრის განაკვეთები *(აქციზთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის შესრულება ხასიათდება დანაკლისით, რაც დაკავშირებულია მიმდინარე წლის განმავლობაში თამბაქოს მოხმარების სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებასთან, კერძოდ, თუთუნის, მოხმარების მნიშვნელოვან ზრდასთან, რომლის დაბეგვრა პრაქტიკაში მინიმალური განაკვეთით ხდება)*.

გრანტების სახით 2020 წელს გათვალისწინებულია 200 მლნ ლარის მიღება, მათ შორის, საბიუჯეტო გრანტები განსაზღვრულია 90 მლნ ლარის, საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები - 45 მლნ ლარის, ხოლო სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტში გადმოსარიცხი გრანტები - 65 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, წარმოდგენილი კანონპროექტით მცირედით 2%-იანი (10 მლნ ლარით) ზრდით არის წარმოდგენილი და შეადგენს 515 მლნ ლარს.

სხვა შემოსავლების ცალკეული კომპონენტების მხრივ ცვლილებები ძირითადად უკავშირდება სანქციებს, ჯარიმებს, საურავებს (იზრდება 10 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებს, რომელიც იზრდება 4.3 მლნ ლარით.

სხვა შემოსავლების სტრუქტურაში გამორჩეული წილი საკუთრებიდან შემოსავლებს უკავია, რომელიც მთლიანი მოცულობის 37%-ს აღწევს და ნომინალურ გამოსახულებაში 191 მლნ ლარს

უტოლდება. აქედან, პროცენტების სახით დაგეგმილია 95 მლნ ლარის, დივიდენდების სახით - 71 მლნ ლარის (მ.შ.ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდი შეადგენს 70 მლნ ლარს, 10 მლნ ლარით ნაკლებს, ვიდრე მიმდინარე წელს იქნა ჩარიცხული), ხოლო რენტის სახით 25 მლნ ლარის მიღება.

	2018 წელი ფაქტი	2019 წელი გეგმა (პირველადი)	2019 წელი გეგმა*	2020 წელი პროექტი (I-II)	2020 პროექტი / 2019 გეგმა		2020 წ. პროექტი / 2019 წ. გეგმა (პირველადი)		2019 წ. 9 თვე წლიურ გეგმასთან
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	
სხვა შემოსავლები	495.7	460.0	505.0	515.0	10.0	2.0%	55.0	12.0%	73.2%
შემოსავლები საკუთრებიდან	201.6	171.0	196.0	191.0	-5.0	-2.6%	20.0	11.7%	86.1%
პროცენტები	103.8	85.0	95.0	95.0	0.0	0.0%	10.0	11.8%	80.2%
დივიდენდები	70.4	66.0	81.0	71.0	-10.0	-12.3%	5.0	7.6%	99.3%
მ.შ. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	0.4	1.0	1.0	1.0	0.0	0.0%	0.0	0.0%	42.0%
ეროვნული ბანკის მოგებიდან	70.0	65.0	80.0	70.0	-10.0	-12.5%	5.0	7.7%	100.0%
რენტა	27.5	20.0	20.0	25.0	5.0	25.0%	5.0	25.0%	61.1%
სამონღლისა და მომსახურების რეალიზაცია	94.4	94.5	96.7	101.0	4.3	4.4%	6.5	6.9%	60.1%
ჭარბები, სანძივები და სასურავები	78.2	85.0	95.0	105.0	10.0	10.5%	20.0	23.5%	73.3%
ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	121.4	109.5	117.3	118.0	0.7	0.6%	8.5	7.8%	62.4%

ცხრილი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2018-2020 წლებში (მლნ ლარი).

შემოსულობების სხვა კომპონენტები

რაც შეეხება შემოსულობების სხვა კომპონენტებს, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო სიდიდე განსაზღვრულია 120 მლნ ლარის ოდენობით, რაც 40 მლნ ლარით (50%-ით) აჭარბებს მიმდინარე წლის საგეგმო მაჩვენებელს. აქედან, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი გაზრდილია 45 მლნ ლარით და შეადგენს 105 მლნ ლარს, ხოლო მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 15 მლნ ლარის დონეზე (ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 2-ჯერ მეტი ოდენობით შემოსულობის მიღება). რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულობებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ბიუჯეტში აღნიშნული მიმართულებით თანხების მიღება გათვალისწინებული არ არის (რასთან დაკავშირებითაც განმარტება წარმოდგენილი არ არის).

	2018 წელი ფაქტი	2019 წელი გეგმა (პირველადი)	2019 წელი გეგმა*	2020 წელი პროექტი (I-II)	2020 პროექტი / 2019 გეგმა		2020 წ. პროექტი / 2019 წ. გეგმა (პირველადი)		2019 წ. 9 თვე წლიურ გეგმასთან
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	
არაფინანსური აქტივების კლება	101.0	70.0	80.0	120.0	40.0	50.0%	50.0	71.4%	86.1%
ძირითადი აქტივები	80.4	57.0	60.0	105.0	45.0	75.0%	48.0	84.2%	73.9%
მატერიალური მარაგები	0.01				0.00		0.00		
არანარმოვებელი აქტივები	20.6	13.0	20.0	15.0	-5.0	-25.0%	2.0	15.4%	122.8%

მ.შ. მიწა	8.3	3.0	7.0	15.0	8.0	114.3%	12.0	400.0%	153.7%
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	12.3	10.0	13.0		-13.0	-100.0%	-10.0	-100.0%	106.2%

ცხრილი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან 2018-2020 წლებში (მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 130 მლნ ლარის ოდენობით, რაც ძირითადად მოდის სესხების დაბრუნებით მისაღებ თანხებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მიხედვით 4 უმსხვილესი სამთავრობო პრიორიტეტი 2018-2019 წლების მსგავსად კვლავ არის:

- ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა : ჯამური დაფინანსება: 4 299.3 მლნ ლარი, რომლის 99,96 %-ს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს.
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება: ჯამური დაფინანსება: 2 311.6 მლნ ლარი, რომლის 89.7 %-ს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს.
- რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი: 2 265,8 მლნ ლარი, რომლის 97.2 %-ს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს.
- განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება: 1 805,5 მლნ ლარი, რომლის 77.7 %-ს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს.

2020 წლისთვის მე-5 უმსხვილესი სამთავრობო პრიორიტეტი არის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება (422.9 მლნ ლარი), თუმცა აღნიშნული პრიორიტეტის მხოლოდ 62.8% ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით. საბიუჯეტო დაფინანსების გათვალისწინებით, 2018-2019 წლების მსგავსად, 2020 წლისთვისაც მე-5 უმსხვილესი სამთავრობო პრიორიტეტი კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (ჯამური დაფინანსება 382.6 მლნ ლარი, რომლის 93.7% არის საბიუჯეტო სახსრები).

რაც შეეხება 2019 წლის საგეგმო მაჩვენებლებთან მიმართებით პრიორიტეტების ცვლილებას, არსებითად იზრდება ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები (371 მლნ ლარი), ძირითადად მოსახლეობის სოციალური დაცვის საბიუჯეტო პროგრამის ხარჯზე (პროგრამის სახაზინო კოდი 27 02). ასევე, მნიშვნელოვნად იზრდება რეგიონალური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ოდენობა (179 მლნ ლარი). აღნიშნული ცვლილება ძირითადად უკავშირდება ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა (პროგრამის სახაზინო კოდი 25 07) და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის (პროგრამის სახაზინო კოდი 25 04) საბიუჯეტო პროგრამების ასიგნებათა ზრდას. არსებითად იზრდება, ასევე, ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების (64 მლნ ლარი), ძირითადად არჩევნების ჩატარების ღონისძიებებისა (პროგრამის სახაზინო კოდი 06 04) და სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის, მათ შორის, სისხლის სამართლის

სისტემის რეფორმის განხორციელების (პროგრამის სახაზინო კოდი 26 01) საბიუჯეტო პროგრამების ხარჯზე. მნიშვნელოვნად იზრდება მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიც (62 მლნ ლარი), ძირითადად სახელმწიფო ქონების მართვის (პროგრამის სახაზინო კოდი 24 06) საბიუჯეტო პროგრამის ხარჯზე.


რაც შეეხება გადახდელების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი კომპონენტების, კერძოდ, სახელმწიფო მოხმარებისა და სახელმწიფო ინვესტიციების დინამიკის ანალიზი, რაც ასახავს ფისკალური პოლიტიკის წარმოდგენილ მიმართულებებს. აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გამოყენებულ ფისკალურ ინსტრუმენტზე, ვინაიდან მთავრობის მოხმარებისა (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) და ინვესტიციების (არაფინანსური+ფინანსური აქტივების ზრდა) გავლენა რეალურ მშპ-ზე განხვავდება, როგორც მასშტაბის, ისე ხანგრძლივობის მიხედვით.

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტს თანდართული 2020- 2023 წწ. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 11 275 მლნ. ლარს უტოლდება და 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 843 მლნ ლარით აღემატება, მათ შორის სახელმწიფო მოხმარების (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) ზრდის მაჩვენებელი 189 მლნ. ლარს შეადგენს. ამავდროულად, იზრდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (ე.წ. კაპიტალური ხარჯები), რომლის საპროგნოზო მოცულობა 3 548 მლნ. ლარს უტოლდება და 2019 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელზე 68 მლნ. ლარით (2%-ით) მეტია. ჯამურად, 2020 წლისათვის სახელმწიფო ინვესტიციების საპროგნოზო მოცულობა (არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდა) 3 725 მლნ. ლარს უტოლდება და 2019 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელს 0.4%-ით (15 მლნ. ლარით) აღემატება.

რაც შეეხება აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკის მშპ-სთან მიმართებით, მნიშვნელოვანია რომ 2019 წლის მოსალოდნელ მაჩვენებლებთან შედარებით სახელმწიფო მოხმარება (%-ულად მშპ-სთან) მცირედი კლების ტენდენციას ავლენს და 2020 წლისათვის 7.5%-იდან 7.4%-მდე მცირდება. ასევე, კლებულობს სახელმწიფო ინვესტიციების მაჩვენებელიც (%-ულად მშპ-სთან) 8.3%-იდან 7.7%-მდე, რაც ძირითადად უკავშირდება ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების კლების გავლენას.

	2018 წელი ფაქტი	2019 წელი გეგმა	2020 წელი პროექტი (II წარღვევა)	2020 წ. პროექტი/2019 წ. გეგმა სხვაობა	2020 წ. პროექტი/ 2019 წ. გეგმა ზრდის ტემპი
ხარჯები	9,492.80	10,432.00	11,275	844.00	8.1%
სახელმწიფო მოხმარება	3,268.60	3,385.00	3,574.00	189.00	5.6%
შრომის ანაზღაურება	1,684.80	1,785.00	1,872.00	87.00	4.9%
საქონელი და მომსახურება	1,583.80	1,600.00	1,702.00	102.00	6.4%
სახელმწიფო ინვესტიციები	3,595.50	3,710.00	3,725.00	15.00	0.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,859.90	3,480.00	3,548.00	68.00	2.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	735.6	230	177	-53.00	-23.0%

ცხრილი 4 : ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები (მლნ ლარი: 2018-2020 წწ.).



დიაგრამა 4: სახელმწიფო მოხმარებისა და ინვესტიციების დინამიკა (%-ულად მშპ-სთან);(2018-2020 წწ.).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 14,212 მლნ ლარის დონეზე და 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 6.8%-ს შეადგენს.


გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, მიმდინარე წლის გეგმურ მანველებლებთან შედარებით გათვალისწინებულია არსებითი ზრდა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებისათვის 132.9 მლნ ლარით (63.4%-ით) ზრდა, ასევე ასევე არსებითად იზრდება ხარჯების (ე.წ. მიმდინარე ხარჯები) მუხლით გადასახდელები - 671.2 მლნ ლარით (6.7-ით), რაც ძირითადად უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის (431 მლნ ლარით) და პროცენტის მუხლით (96 მლნ ლარით) ხარჯების არსებით ზრდას. ხარჯების სხვა კომპონენტებიდან ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე არსებითი ზრდა ვლინდება შრომის ანაზღაურების (92,5 მლნ ლარით) და საქონელი და მომსახურების (75 მლნ ლარით) ხარჯები და ასევე გათვალისწინებულია სუბსიდიების მუხლით ხარჯების ზრდა 82,3 მლნ ლარით (18,9%-ით). ამასთან, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებისათვის (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) 64 (3%) მლნ ლარით ზრდაა გათვალისწინებული.

	2018 წლის მშპ-სთან	2019 წლის მშპ-სთან	2019 გეგმა (პირველი)	"2020 პროექტი (I)"	2020 პროექტი (II)	2020 პროექტი (II) / 2019 გეგმა	
						სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ გადასახდელები	12,590.2	13,313.1	13,090.0	14,211.9	14,211.9	898.8	6.8%
ხარჯები	9,543.7	9,999.1	9,641.1	10,670.3	10,670.3	671.2	6.7%
შრომის ანაზღაურება	1,407.6	1,469.5	1,470.7	1,562.0	1,562.0	92.5	6.3%
საქონელი და მომსახურება	1,288.3	1,246.4	1,218.2	1,321.4	1,321.4	74.9	6.0%
პროცენტი	513.0	624.0	624.0	720.0	720.0	96.0	15.4%
სუბსიდიები	419.5	435.1	443.8	517.4	517.4	82.3	18.9%
გრანტები	1,332.0	787.9	544.3	652.2	652.2	-135.8	-17.2%
სოციალური უზრუნველყოფა	3,501.3	3,886.9	3,866.9	4,318.0	4,318.0	431.1	11.1%
სხვა ხარჯები	1,082.0	1,549.165	1,473.2	1,579.3	1,579.3	30.1	1.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,912.2	2,137.6	2,152.3	2,201.6	2,201.6	64.0	3.0%


ფინანსური აქტივების ზრდა	381.1	209.4	362.7	342.2	342.2	132.9	63.4%
გაღდებულზეების კლება	753.2	967.1	933.9	997.7	997.7	30.7	3.2%

ცხრილი 5: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდლები (მლნ ლარი).

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების დინამიკის მიხედვით, 2019 წლის გეგმასთან მიმართებაში, მხარჯავი დაწესებულებების უდიდესი ნაწილისათვის ასიგნებების ზრდის ტემპი 20%-ს არ აღემატება, ამასთან, 17 მხარჯავი დაწესებულებისათვის ასიგნებები ნარჩუნდება 2019 წლის გეგმით განსაზღვრულ დონეზე. რაც შეეხება პროგრამების დონეზე დინამიკას, პროგრამების უმრავლესობისათვის ასიგნებები ნარჩუნდება 2019 წლის დონეზე/მცირდება 10%-ზე ნაკლები ოდენობით ან ზრდის ტემპი 0%-15% ინტერვალში მერყეობს. 2019-2020 წწ. პერიოდისათვის ასიგნებების %-ული ცვლილების სიხშირეთა განაწილება მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების დონეზე წარმოდგენილია დიაგრამებზე #5 და #6.



დიაგრამა 5: სიხშირეთა განაწილება მხარჯავი დაწესებულებების დონეზე



დიაგრამა 6: სიხშირეთა განაწილება საბიუჯეტო პროგრამების დონეზე

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2020 წლის პროექტი/2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი/2019 წლის გეგმა %-ულად
06 00	საპარტევლოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	77,214.5	27,687.1	72,569.7	44,882.6	162.1%
27 00	საპარტევლოს ოპოზირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,688,462.4	3,978,400.0	4,347,000.0	368,600.0	9.3%
24 00	საპარტევლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	226,442.4	253,050.0	364,000.0	110,950.0	43.8%
25 00	საპარტევლოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,668,777.2	2,000,000.0	2,071,600.0	71,600.0	3.6%
29 00	საპარტევლოს თავდაცვის სამინისტრო	814,737.7	835,000.0	880,000.0	45,000.0	5.4%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო შესაბამისი ვიდეოკამერების ბიუჯეტი	4,199.7	8,700.0	7,000.0	-1,700.0	-19.5%
02 00	საპარტევლოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,529.0	8,200.0	6,000.0	-2,200.0	-26.8%
03 00	საპარტევლოს ბიზნესრეგულაციების აპარატი	562.4	750.0	700.0	-50.0	-6.7%

ცხრილი 6: მხარჯავი დანახარჯები, რომელთათვისაც %-ულად ვლინდება ასიგნებების ყველაზე მაღალი ზრდა* (მლნ ლარი, %).

*სიხშირით განაწილებიდან/ცხრილებიდან ამორიცხებულია საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები, ასევე ის მხარჯავი დანახარჯები/პროგრამები, რომლებიც აღარ არის გათვალისწინებული 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით, თუმცა ასახული იყო 2018-2019 წწ. ბიუჯეტში, ან რომლებიც დაემატა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტიპის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა 190 მლნ ლარით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, რაც ძირითადად უკავშირდება დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების 90 მლნ ლარით და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის 72 მლნ ლარით ზრდას, ასევე საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის ზრდას 47 მლნ ლარით. რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების სხვა კომპონენტებს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა მცირდება 110 მლნ ლარით და განსაზღვრულია 300 მლნ ლარის დონეზე. რაც შეეხება მაკროეკონომიკური დასახლებების განვითარების ფონდს, მისი მოცულობა შენარჩუნებულია 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლის დონეზე და 20 მლნ ლარს შეადგენს.

	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2020 წ. პროექტი/2019 წ. გეგმა სხვაობა %-ული ცვლილება
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,656,227.0	2,437,491.1	2,627,800.0	7,8%
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	983,556.2	1,273,000.0	1,320,000.0	3.7%

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	279,334.3	318,000.0	390,000.0	22.6%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	1,241,708.1	180,600.0	131,000.0	-27.5%
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	50,000.0	40,000.0	-20.0%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	0.0	410,000.0	300,000.0	-26.8%
მალაშვილის დასახლების განვითარების ფონდი	0.0	20,000.0	20,000.0	0.0%

ცხრილი 8: საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (მლნ ლარი).

სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა

სახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებით, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიან პერიოდში არსებითად იზრდება საგარეო ვალდებულებების დაფარვისა და შესაბამისად, ახალი საგარეო ვალდებულებების აღების სახსრები.

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით გათვალისწინებულია ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდა საგარეო წყაროებიდან მიღებული ვალდებულებების 539 მლნ ლარის ოდენობით ზრდის გავლენით. კერძოდ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 2,755 მლნ ლარის დონეზე, რაც 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს 539 მლნ ლარით (24%) აღემატება.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1,170 მლნ ლარის ოდენობით. ასევე, ბიუჯეტის მხარდამჭერი რესურსის სახით საქართველოში ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) 170 მლნ ლარის, საქართველოში ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) 195 მლნ ლარის, ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების (MFA) პროგრამის ფარგლებში ევროკავშირიდან (EU) 65 მლნ ლარის, განვითარების პოლიტიკის ოპერაციის (DPO-2019) პროგრამის ფარგლებში მსოფლიო ბანკიდან (WB) 150 მლნ ლარის და სსე-ს კორპორატიზაციისა და ენერგობაზრის რეფორმის პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) 105 მლნ ლარის ათვისებას.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 1,320 მლნ ლარი, საიდანაც 950 მლნ ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 370 მლნ ლარი - პროცენტის თანხას.

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდას, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა)

მიმდინარე წლის გეგმური მაჩვენებლის - 900 მლნ ლარის ოდენობით. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 1,440 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას - 1,400 მლნ ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) – 40 მლნ ლარის ოდენობით.

	2018 წ. ფაქტი	2019 წ. გეგმა	2020 წ. პროექტი	2019წ./2018 წ.	2020 წ./2019 წ.	
				სხვაობა	სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	1,877,617.1	2,186,050.0	2,755,000.0	308,432.9	568,950.0	26.03%
საშინაო	422,310.4	500,000.0	900,000.0	77689.6	400,000.0	80.00%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	422,310.4	500,000.0	900,000.0	77689.6	400000	80.00%
საგარეო	1,455,306.8	1,686,050.0	1,855,000.0	230743.2	168950	10.02%
სესხები	1,455,306.8	1,686,050.0	1,855,000.0	230743.2	168950	10.02%

ცხრილი 9: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა (ათასი ლარი).

